ყაყაი თოფურიძე ბიჩიკი ფონდი

215

287 Опись 1 215

287 1 215

16 01 2025

„საბჭოთა ოსეთი", 1969 წ. 11/VI
№ 112

სახელმწიფო გამოცდები

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დიდი გამოცოცხლებაა. კაბინეტ-ლაბორატორიებში სტუდენტები ერთხელ კიდევ იმეორებენ განვლილ მასალას, ატარებენ ცდებს... დაიწყო სახელმწიფო გამოცდები.

დილის 9 საათია. ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში ადგილებს იკავებენ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი თოფურია და კომისიის წევრები. დაიწყო პირველი გამოცდა ქართულ ენაში. ფილოლოგიური ფაკულტეტის IV კურსის დღის განყოფილების სტუდენტები ინსტიტუტში გამოირჩეოდნენ კარგი სწავლით, დისციპლინითა და საზოგადოებრივი საქმიანობით. მათ არც სახელმწიფო გამოცდაზე შეირცხვინეს თავი. საგნის საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს და „ფრიადი" დაიმსახურეს სამსონ გაწერელიამ, ნაირა ბებიევამ, გულნარა ჭოველიძემ, მჭდია ნართიკოევამ და ზაირა თაბუაშვილმა.

მათ არ ჩამორჩნენ ამავე ფაკულტეტის საღამოს განყოფილების გამოსაშვები კურსის სტუდენტები მაყვალა ჯავახიშვილი, გულნარა მარკოზაშვილი, ნათელა მურთაზაშვილი, რომლებმაც ქართულ ენაში მაღალი ნიშნები მიიღეს.

აი ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის გამოსაშვები კურსი. მომავალ პედაგოგებს პირველი გამოცდა ჰქონდათ ქიმიაში. გამოცდას 27 სტუდენტი აბარებს. ფრიადი დაიმსახურა ხუთმა, კარგი—თერთმეტმა, დანარჩენებმა დამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს.

ბილეთის ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხი გასცეს, საგამოცდო კომისიის მადლობა და ფრიადი შეფასება დაიმსახურეს ნინო მენთეშაშვილმა, ედუარდ სანაკოევმა, თუზარ ჯუსოევმა, თევდორე ვარდიკოვმა და როზა ფუხაევამ.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების (რუსული სექტორი) სტუდენტებმა ალექსანდრა და რუსლან ჯიოევებმა და ვალენტინა ქოქოევამ, ქართული სექტორის საღამოს განყოფილებიდან ზებილონ პავლიაშვილმა, თინა ჯავახიშვილმა, ზაურ ბალიაშვილმა, ბეგლარ ალბოროვმა წარმატებით ჩააბარეს პირველი გამოცდა მათემატიკაში.

პარალელურად მიმდინარეობს კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდები.

ვ. მელქოევი.

სურათზე: გამოცდა ქართულ ენაში (მარცხნიდან მარჯვნივ): დოცენტი ტ. სულაბერიძე, პროფესორი ა. თოფურია, დოცენტები ო. ქაჯაია, რ. შამელაშვილი და ს. ალბოროვი. პასუხობს ფილოლოგიური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტი მ. ჯავახიშვილი.

ფოტო ლ. გუსოვისა.

კომუნისტური
საერთაშო

(დასასრული)

აზრები აფრიკასა და აზიაში, ლათინური ამერიკის სისტემატური და სწრაფი ჩაგვრა, საბოლოოდ, იანკის იმპერიალიზმის მთელი ეგრეთწოდებული გლობალური სტრატეგია, რომლის სამსახურშიც ჩაყენებულია უზარმაზარი რესურსები, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგების ჩათვლით, რაზეც სწორად არის ნათქვამი ძირითად დოკუმენტში, მოითხოვს ერთიანობას.

ეს აზრები და ფაქტები არ გვიკარგავს პერსპექტივებს ან არ იწვევს ძალთა საერთაშორისო თანაფარდობის ნეგატიურ შეფასებას. ისინი მხოლოდ იმას ცხადყოფენ, რომ ცხრვრება ისევ და ისევ ადასტურებს მარქსიზმის აქსიომას — არც ერთი გაბატონებული კლასი არ ჩადის სამარეში წყნარად და მშვიდად. ამავე დროს ყოველივე ეს მოგვაგონებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის უდიდეს ძალას, რომლის ღერძია საბჭოთა კავშირის ისტორიული და იდეოლოგიური ავტორიტეტი, ეკონომიური და სამხედრო ძლიერება.

როცა ასეთი ძალა მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად სწორად ითვალისწინებს მსოფლიო სინამდვილის ტენდენციებს — შეიძლება არ დავუშვათ მსოფლიო ომი, ავლაგმოთ ან გავსრისოთ აგრესორები, მოვსპოთ ფაშიზმი და ანტიდემოკრატიული ძალები, დავეხმაროთ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესს და ჩამორჩენილ ხალხთა გადასვლას სოციალიზმზე და, უფრო მეტიც, შეიძლება უზრუნველვყოთ სოციალისტური რევოლუციის ახალი ალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებასა და სოციალისტური სისტემის, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის ამაღლებას. ეს კომუნისტთა ინტერნაციონალური მოვალეობაა. ისტორიულად იგი წარმოიშვა დიდ ოქტომბერთან ერთად და არ არის მოხსნილი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის შემდგომი განვითარების პირობებში.

* * *

9 ივნისს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე **დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ამხ. გ. დანელიუსი** თავისი პარტიის სახელით მიესალმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ამ დიდმნიშვნელოვან მსოფლიო შეხვედრას, რომელიც კვლავ ძიმდინარეობს მოსკოვში, საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობის ცენტრში.

ამხ. მ. დანელიუსმა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრთა სახელით და გვიანი კაპიტალიზმის სისტემის წინააღმდეგ მათ მხარდამხარ მებრძოლ სამრეწველო მუშათა და გონებრივი შრომის მუშაკთა მოწინავე წარმომადგენლების სახელით იმედი გამოთქვა, რომ ეს თათბირი იქნება დიდი პროგრესის წყარო, რათა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე განვამტკიცოთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და შეკავშირება, იქნება ძლავრი სტიმული ერთობლივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლისათვის.

დავად, სოციალისტურ სახელმწიფ
თანამეგობრობა მთლიანად უკანასკ
ლი წლების მანძილზე გაძლიერდა
განმტკიცდა, მისი გავლენა მსოფლიო
გაიზარდა. ვარშავის ხელშეკრულებ
და ეკონომიური ურთიერთდახმარებ
საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ბუდ
პეშტსა და მოსკოვში მიღებულ თავიან
გადაწყვეტილებებში დასახეს ერთიანო
ბისა და შეკავშირების განმტკიცების
თანამშრომლობისა და ინტეგრაციი
ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნ
ლოვანი ღონისძიებანი. სოციალისტურ
სახელმწიფოთა გადაწყვეტილებანი მი
ზნად ისახავენ მთელი მსოფლიოს მშვი
დობის უზრუნველყოფას, მსოფლიო
პოლიტიკის ისეთი რთული საკითხების
გადაწყვეტას, როგორიცაა ამერიკის შე
ერთებული შტატების აგრესიის შეწყ
ვეტა ვიეტნამში, აგრესიული ისრაელი
ჯარების გამოყვანა და ახლო აღმოსავ
ლეთის საკითხის პოლიტიკური გადაწყ
ვეტილება, მიზნად ისახავენ ევროპის
მშვიდობისა და უშიშროების უზრუნ
ველყოფას, სრულიად ევროპის თათბი
რის მომზადებას უშიშროებისა და თა
ნამშრომლობის საკითხებზე, გამალებუ
ლი შეიარაღების შეზღუდვასა და შეწყ
ვეტას და სხვ. ეს ღონისძიებანი მოწ
მობენ, რომ სწორედ ამ სახელმწიფო
ებს ეკუთვნით პოლიტიკური ინიციატი
ვა მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და
უშიშროებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ამხ. ვ. ულბრიხტი შეეხო საფრთხეს, რასაც შეიცავს, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი. დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის "გაბატონებული კლა-